



რადიო იწყება ჩვენით
 RADIO BEGINS WITH US
 შპს სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი
 BROADCASTING COMPANY HERETI

0108, შიო ჩიტაძის ქ. N11, თბილისი, საქართველო
 0108 Shio chitadze st. N11 Tbilisi, Georgia
www.heretifm.com www.tbilisifm.ge
www.citrusfm.live www.relaxwebradio.com

22.08.2024

კომუნიკაციების კომისიას
 საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას
 პოლიტიკურ პარტიებს

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

გაცნობებთ, რომ შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის“ (მედია ჰოლდინგი ჰერეთი) ის პოპულარულ რადიოსადგურებში (რადიო ჰერეთი, რადიო თბილისი, რადიო ციტრუსი) გამოყოფილია უფასო და ფასიანი სარეკლამო დროები პოლიტიკური რეკლამის განსათავსებლად. (6.09.-25.10.2024 პერიოდში)

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე, თითოეულ ჩვენს რადიოსადგურში ფასიანი პოლიტიკური რეკლამის 1 წუთის ღირებულება შეადგენს 150 ლარს.

სარეკლამო ბლოკები გამოყოფილია გადაცემამდე ან გადაცემის შემდეგ, ახალი ამბების დასაწყისში ან დასრულების შემდეგ.

სარეკლამო ბლოკები ეთერშია ყოველი საათის 10. 30 და 50 წუთებზე (დილის 7:10 – 23:50 საათამდე)

რადიო თბილისის FM93.5 დაფარვის ზონა მოიცავს სრულიად თბილისსა და მის შემოგარენს, ქალაქებს რუსთავსა და მცხეთას, კახეთის რეგიონს: საგარეჯოს, გურჯაანის, დედოფლისწყაროს რაიონის და ლაგოდეხის რიგ სოფლებს. რადიო თბილისი პოპულარულია როგორც FM-ზე ასევე სოც მედიაში - ფეისბუქზე, სადაც გამომწერთა რაოდენობა 400.000 - აჭარბებს, ინგეიჯმენტი კი 8 მილიონს აღემატება.

რადიო ჰერეთი FM 102.8 - დაფარვის ზონა კახეთის რეგიონს და აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილს მოიცავს. კახეთში ჰერეთის მაუწყებლობა ვრცელდება შემდეგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში: ლაგოდეხი, წნორი, სიღნაღი, გურჯაანი, ყვარელი, დედოფლისწყარო, თელავი, საგარეჯო. ახმეტა. ასევე დაფარვის ზონაშია დასავლეთი აზერბაიჯანი – ბელაქანი, ზაქათალა, კახი.

რადიო ციტრუსი FM97.3 ბათუმიდან მაუწყებლობს და არის პირველი კერძო საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი რადიოსადგური. ციტრუსის მაუწყებლობა ვრცელდება ბათუმსა და შემოგარენში, ზღვის მთლიან სანაპირო ზოლზე, მახინჯაურში, გონიოში, კვარიათი,

სარფი, შეკვეთილში, ქობულეთსა და ურეკსა და ფოთში.

FM-ზე, რადიოების დაფარვის არეალში 3 მილიონამდე პოტენციური მსმენელია. „ჩვენ ვყიდით რეკლამას და არა ახალ ამბებს“ „ჩვენ ვსაუბრობთ თქვენს ენაზე“ – მიუკერძოებელი საინფორმაციო პოლიტიკა, ნდობის მაღალი რეიტინგი, მუდმივი ინოვაციურობა და მზარდი განვითარება, ქართულ სამაუწყებლო ბაზარზე ჰერეთის მდგრადი სამაუწყებლო პოლიტიკის და შეუპოვარი გუნდის მიღწევაა.

დამოუკიდებელი მედიაპოლდინგი ჰერეთი ყველა კვლევის თანახმად გამოირჩევა მსმენელთა ნდობითა და მაღალი ავტორიტეტით. (გაეროს, ევროკავშირის, ინტერნიუსის, TNS-ის კვლევები)

დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვენს გაყიდვების დეპარტამენტს

599 40 77 14, 599 995 935, 032 20 33 935

პატივისცემით,

რამაზ სამხარაძე

დირექტორი

სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი

